

## პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

თემა: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების გზების კვლევა საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე.

ავტორი: სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი მაგული დიასამიძე.

2018-2019 სასწავლო წელი.

### შინაარსი

შესავალი

1 თავი

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ.

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.3 პრობლემის აქტუალობა

თავი 2

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 3

3.1 საკვლევი კითხვის ფორმულირება

3.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

თავი-4

4.1 კვლევის მეთოდები

4.2 კვლევის ვადები

ცხრილი N-1

4.3 მონაცემთა ანალიზი

ცხრილი N2. კითხვარის შედეგები

ცხრილი N3 კითხვარის შედეგები

ცხრილი N4 კითხვარის შედეგები

თავი-5

5.1 ინტერვენციები

5.2 ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

თავი-6

6.1. კვლევის მიზნები

6.2. რეკომენდაციები

6.3 კვლევის ნაკლოვანებები

7. დასკვნა

8. რეფლექსია

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი #1. კითხვარი მოსწავლეებისათვის

დანართი #2. კითხვარი მშობლებისათვის.

დანართი #3. კითხვარი მასწავლებლებისათვის.

### შესავალი

საჯარო სკოლებში საბაზო და საშუალო საფეხურზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობაა. პედაგოგიურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ განსაკუთრებით დაბალი ჩართულობით გამოირჩევიან მოსწავლეები საბუნებისმეტყველო საგნებში, რაც პირდაპირ აისახება მათ ცოდნის დონეზე.

პრობლემების გამომწვევი მიზეზების შემცირებისათვის სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელმა ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მე-8, მე-9, მე-10, მე-11-ე

კლასებში.. ჩემი მიზანი იყო გამომეკვლია საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები და მოგვეძებნა გზები საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად, რაც მათი ცოდნის დონის ამაღლებასაც გამოიწვევდა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბუნებისმეტყველო საგნები: ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა საბაზო და საშუალო საფეხურზე ისწავლება. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა სწავლების პროცესში სწორად დაინახოს მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხის დინამიკა და დროულად განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. კვლევაში განხილულია საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მამოტივირებელი ფაქტორები, მათი შესუსტების მიზეზები და მოტივაციის გაუმჯობესების სტრატეგიები. აგრეთვე, დასახულია ამ პრობლემების პრევენციისა და დაძლევის გზები.

## თავი I

### 1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ.

სსიპ ქედის რაიონის, სოფელ დანდალოს საჯარო სკოლაში 2018-2019 სასწავლო წელს სწავლობს 68 მოსწავლე. სკოლას ემსახურება 21 მასწავლებელი უმაღლესი განათლებით, მათ შორის არის 5 უფროსი მასწავლებელი.

სკოლას საკმაოდ მაღალი აკადემიური შედეგები აქვს, როგორც მიმდინარე, ასევე ეროვნულ გამოცდებში. სკოლა ხელმძღვანელობს დემოკრატიული პრინციპებით და ისწრაფვის ინოვაციების დანერგვისაკენ. სკოლა ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებს, სკოლა ორიენტირებულია თვითგანვითარებაზე, არ კმაყოფილდება მიღწეულით და ცდილობს კიდევ უფრო ამაღლოს სწავლების ხარისხი და შედეგები.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, კეთილმოწყობილი ეზო, აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, ინტერნეტით. სკოლა აღჭურვილია მთლიანად ახალი ინვენტარით. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სკოლას არ აქვს ქიმია, ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიული კაბინეტი თავისი ლაბორატორიული მოწყობილობებით.

### 1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართულობა საკმაოდ რთულია. თინეიჯერობის ასაკში მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ რაც წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს და იწვევს სწავლის ხარისხის დაქვეითებას.

კვლევის მიზანია საბუნებისმეტყველო გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზების ძიება და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

პედაგოგიურმა პრაქტიკამ აჩვენა რომ მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე უფრო აქტიურად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე იკლებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სხდომებზე გამოიკვეთა აზრი, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეები განსაკუთრებით ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, შესაბამისად დაბალია მათი ჩართულობის ხარისხი. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სასწავლო წლის მანძილზე პასიურია. ეზარებათ საშინაო დავალების შესრულება, არ ასრულებენ ან ნაწილობრივ ასრულებენ მას, ჯგუფური მუშაობის პროცესშიც პასიურები არიან, უჭირთ და ეზარებათ დამოუკიდებლად მუშაობა, რთულდება მათი დაინტერესება, იკლებს ჩართულობის ხარისხი რაც მოქმედებს მათ აკადემიურ მიღწევებზე. მონაწილეების გარკვეული რაოდენობა თვლის, რომ მხოლოდ მოსმენით და საკლასო აქტივობებში მონაწილეობითაც გავა ფონს.

სწავლის პრობლემა წლების განმავლობაში შეიმჩნევა, მისი მოგვარება ჯერ ვერ მოხერხდა, პრობლემა პრობლემად რჩება. მოსწავლეებს არ გააჩნიათ საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის მიმართ არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია, რადგან არც დაწერილი ქულა აინტერესებთ და არც ამ საგანში მიღებულ ცოდნას ანიჭებენ უპირატესობას ვინაიდან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად მოსწავლეები მეტ-ნაკლებად ირჩევენ ბიოლოგიას და არ ირჩევენ საერთოდ ფიზიკასა და ქიმიას.

ამ მხრივ, საინტერესოა რამდენად განაპირობებს მოტივაციის შესუსტებას ბიოლოგიური ფაქტორები (გარდატეხის ასაკის სინდრომი) და რამდენად შეიძლება მისი დაძლევა სხვადასხვა მოტივატორების გამოყენებით.

კვლევებთან გაწეულმა კონსულტაციებმაც ცხადყო, რომ ზოგადად საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილში შეიმჩნევა მოტივაციის კლების სინდრომი, რაც მეტად პრობლემურია, რადგან ის პირდაპირ აისახება

აკადემიურ შედეგებზე. ამდენად, ვფიქრობ წინამდებარე კვლევის შედეგები საგულისხმო იქნება და პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება სხვა კოლეგებსაც.

ასეთ დროს, საჭიროა დადგინდეს მოსწავლეთა მოტივაციის შესუსტების გამომწვევი ყველა ფაქტორი და დროულად მოხდეს მათზე რეაგირება..

### 1.3 პრობლემის აქტუალობა

დაგეგმვის დროს საჭირო იყო ჩამოგვეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. კვლევის კომისიასთან მსჯელობის შედეგად და პედაგოგთა გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი ზოგადად, მოტივაციის შესუსტების გამომწვევ მიზეზებად აღიარებულია შემდეგი ფაქტორები:

ა. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის პოზიტიური ურთიერთობის არქონა;

ბ. შეფასების არაობიექტურობა;

გ. ერთფეროვანი საგაკვეთილო პროცესი;

დ. გარდატეხის ასაკის სინდრომი;

ე. სახელმძღვანელოს ტექსტების მოცულობა და სირთულე;

ვ. მშობლების უყურადღებობა მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში;

პრობლემის გამომწვევი მიზეზების გაანალიზება, მათი შემდგომი გადაწყვეტისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. ამიტომაც, კვლევის დროს შესწავლილი იქნა ყველა მიზეზი.

მშობლებთან და მოსწავლეებთან გამართული საუბრებისა და გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა ის სავარაუდო მიზეზები, რომლებიც მოსწავლეების გარკვეულ ნაწილში იწვევს მოტივაციის ხარისხის დადაბლებას.

ჩატარებული იქნა ასევე არსებულ მიზეზთა წინააღმდეგ გამოსაყენებელი საკუთარი შესაძლებლობების კვლევა, რომელის საფუძველზე გამოიკვეთა მიზეზთა ის სპექტრი, რომელთა გამკლავებაც საკუთარი შესაძლებლობებით მისაღწევი იქნებოდა .

## ლიტერატურის მიმოხილვა

გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა მეტად აქტუალური საკითხია. პედაგოგები მრავალ ხერხს მიმართავენ მოსწავლეთა აქტიურობის განსასაზღვრელად. ამ მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება რაც ხელს უწყობს განათლებისა და ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

გამოვიყენეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურით „სწავლება და შეფასება“ 2008 წელი. კიდევ ერთხელ გავიაზრეთ რომ მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალება რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს არის: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო, მასწავლებლის მოთხოვნები. მასწავლებელი მოვალეა კარგი პიროვნული ურთიერთობები დაამყაროს მოსწავლეებთან. კვლევები გვიჩვენებს რომ მოსწავლეები რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი კეთილსინდისიერად ეკიდებიან სასწავლო პროგრამას, ნაკლებად ქმნიან დისციპლინურ პრობლემებს და ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს.

კარგმა მასწავლებელმა იცის რომ ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის გუნდური თანამშრომლობა, დაცულობა, პიროვნული ღირსებების შეფასება. როცა ბავშვები სკოლაში თავს სტუმრად არ გრძნობენ ნებისმიერ სამუშაოს ითავისებენ. (გვერდი 10.16)

განასხვავებენ მოტივაციისადმი 4 მოდგომას:

1. ბიჰევიორისტული მიდგომა (სკინერი) , რომელიც მოტივაციის ასამაღლებლად შესაბამისი სტიმულების გამოყენებას აღიარებს . შესაბამისად, იგულისხმება, რომ მოტივაციის ხარისხი ჯილდოს ან დასჯის მოლოდინითაა განპირობებული. ბიჰევიორიზმის მიმდევრები ხედავენ და აღიარებენ მოტივაციის გამომწვევ გარეგან ფაქტორებს.
2. მოტივაციისადმი ჰუმანისტური მიდგომით გამოირჩევა მეოცე საუკუნის ფსიქოლოგი კარლ როჯერსი. იგი თვლის, რომ მოტივაციის საუკეთესო განმაპირობებელია ინდივიდის თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პიროვნების ინტერესსა და მოტივაციას შინაგანი ფაქტორები განსაზღვრავენ და ეს არის წარმატების, თვითრეალიზებისა და თვითაქტუალიზაციის სურვილი.

აქვე განიხილება აბრაამ მასლოუს მოტივაციის თეორიაც, რომლის მიხედვითაც ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა იერარქია- დაბალიდან (მაგ. უსაფრთხოება) მაღალი რანგის მოთხოვნილებამდე (თვითაქტუალიზაცია). თვითაქტუალიზაცია მასლოუს მიერ შემოტანილი ტერმინია, რითაც იგი პიროვნების სრულ თვითრეალიზაციას, მისი პოტენციალის სრულ რეალიზებას აღნიშნავდა. სანამ მოთხოვნილებათა შემდეგ საფეხურზე გადავიდოდეთ, უნდა დაკმაყოფილოდეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნილებები.

მასლოუს თეორია მასწავლებელს საშუალებას აძლევს მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნილებები ურთიერთქმედებაშია.

3. მოტივაციისადმი კოგნიტური მიდგომა თვლის, რომ ადამიანი ცნობისმოყვარე, მაძიებელი არსებაა, ამდენად ეს მიდგომაც მოტივაციის შინაგან ფაქტორებს აღიარებს.

4. მოტივაციის სოციოკულტურული კონცეფციის მიხედვით ადამიანი ჯგუფის წევრია და ჯგუფის შიგნით ცდილობს საკუთარი იდენტობის განმტკიცებას. ამდენად მოსწავლე, რომელიც იმყოფება ისეთ საკლასო სივრცეში, სადაც სწავლა ღირებულებაა თავადაც მოტივირებულია.

ჟურნალი „მასწავლებელი“ (2018 წელი 10 მაისი) აღნიშნავს რომ სწავლის მოტივაციას და შესაბამისად გაკვეთილზე ჩართულობას განაპირობებს 1. ცნობისმოყვარეობა 2.თვითრწმენა 3.დამოკიდებულებები 4.მოთხოვნები.

იმისათვის რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. ავტორის აზრით, რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა კოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

ამასთან გასათვალისწინებელია ფსიქოლოგ აბრაჰამ მასლოუს აზრი ადამიანი მოთხოვნილებათა შესახებ. ესაა 1.ბიოლოგიური 2. უსაფრთხოების 3. კუთვნილების და სიყვარულის 4.საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის და აღიარების 5.თვითრეალიზაციის

საჭიროა მრავალფეროვნება გაკვეთილის დაგეგმვის დროს, ამასთან დავალებები გამომწვევი უნდა იყოს მაგრამ ადეკვატური, თუ დავალება

მეტისმეტად მარტივია ან მეტისმეტად რთული მოსწავლეებს მცირე მოტივაცია ექნებათ. (ცვატა ბერძენიშვილი 2015 წელი „სტატიები სწავლის მოტივაციების გასაზრდელად” <http://mastsavlebeli.ge/?p=1528> )

მიგვაჩნია რომ მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად მნიშვნელოვანია გაკვეთილებზე სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება. ამასთან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ეფექტური უკუკავშირის მიცემა, რაც გაზრდის მოტივაციას. ლიტერატურას რომელსაც კვლევის პროცესში გავეცანით დიდ დახმარებას გაგვიწევს მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას დიდი დახმარება გაგვიწია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწ. 2 იგი საუკეთესო რესურსია მასწავლებლებისათვის, სადაც დეტალურადაა გაწერილი კვლევისათვის საჭირო ნაბიჯები და ეტაპები.

თ.ზურაბიშვილის წიგნში „თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ განხილულია კვლევის დროს გამოყენებული ისეთი თვისობრივი მეთოდები, როგორცაა სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, რომელიც გამოვიყენეთ კვლევის დროს, ასევე გავითვალისწინეთ ნაშრომში განხილული სოციალური კვლევის ეთიკის საკითხები.

## თავი 3

### 3.1 საკვლევი კითხვის ფორმულირება.

მთავარი კითხვა კვლევისათვის იყო, თუ რა იწვევდა საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა დაბალ ჩართულობას საბუნებისმეტყველო გაკვეთილებზე.

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე გამოვყავით შემდეგი საკვლევი საკითხები:

- არის თუ არა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული.
- იყენებენ თუ არა მასწავლებლები გაკვეთილებზე სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს და აქტივობებს



- ზრუნავენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე.
- რამდენად მისაღებია მოსწავლეებისათვის საბუნებისმეტყველო საგნებში სახელმძღვანელოები.
- ხომ არ არის პრობლემის მიზეზი სახელმძღვანელოს ტექსტების მოცულობა და სირთულე.
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვანდინოთ საგაკვეთილო პროცესის მორგება მათ ინტერესებზე.
- რა მიაჩნიათ მშობლებს თავიანთი შვილების დაბალი მოტივაციის მიზეზად.
- რა დაეხმარებათ მოსწავლეებს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

### 3.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების უზრუნველყოფაზე. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ამ ხანგძლივ პროცესში მნიშვნელოვანია შენარჩუნებული იქნას მოსწავლეთა მოტივაცია.

მოტივაციის საკითხი მეტად აქტუალური და განმსაზღვრელი არამხოლოდ განათლების სისტემის, არამედ ზოგადად ყველა სფეროში წარმატების მიღწევისათვის. წინამდებარე კვლევის მიზანია გამოავლინოს მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხის შესუსტების მიზეზები საბუნებისმეტყველო საგნებში და გამოძებნოს მისი გაუმჯობესების ყველა შესაძლო სტრატეგია, აქტივობა და რესურსი;

კვლევის ამოცანაა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების შესუსტებულ მოტივაციას პასუხი გაეცეს. საბაზო-საშუალო საფენურის მოსწავლეებში

მოტივაციის შემცირების მიმართულებით:

1. რას თვლიან მოტივაციის შესუსტების მიზეზად მშობლები?
2. რა მიზეზებს ასახელებენ ამ მიმართულებით მოსწავლეები?
3. რა დროის განმავლობაში არიან ჩართულები გაკვეთილის განმავლობაში?
4. სასწავლო წლის განმავლობაში რამდენად სტაბილურია მათი მოტივაცია?

მოტივაციის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით:

1. როგორი ტიპის გაკვეთილებზე არიან მოსწავლეები აქტიურად ჩართულები?
2. კონკრეტულად რა აქტივობები და მეთოდები მოსწონთ?
3. გაკვეთილის რომელი ეტაპი (ფაზა) იწვევს მათში ინტერესს და რატომ?
4. რამდენად აცნობიერებენ მოტივაციის როლს წარმატების მიღწევის საკითში?

თავი-4

#### 4.1 კვლევის მეთოდები.

სანდოობის გაზრდის მიზნით გამოვიყენეთ მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები .

კითხვარები მოვამზადეთ VIII-IX-X-XI-XII კლასის 30 მოსწავლისა და მათი მშობლისათვის, ასევე გამოიკითხა 15 მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებს. თუმცა შევსებული კითხვარები დაგვიბრუნა 25 მოსწავლემ და 15 მშობელმა.

კითხვარები ზოგად წარმოდგენას გვიქმნის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის გამომწვევი ფაქტორების შესახებ, მშობლების დამოკიდებულებებისა და ინტერესების შესახებ, გავარკვით რამდენად ეფექტურად იყენებენ მასწავლებლები მოტივაციის ამალღების სტრატეგიებს.

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა VII-IX-X-XI-XII კლასის 3-3 მოსწავლესთან, მიზნობრივად შევარჩიეთ დაბალი, საშუალო და მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები. ფოკუს-ჯგუფიდან გამომდინარე ინტერვიუ ჩავწერეთ სკოლის დირექტორთან და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან.

## 1.6 კვლევის ვადები

აქტივობა	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	✓						
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება							
კვლევის ჯგუფის შექმნა							
კვლევა ჯგუფის წევრთა შეხვედრა							
კითხვარის შედგენა და დამუშავება							
ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან							
ინტერვიუ მასწავლებლებთან							
ინტერვიუ სკოლის დირექტორთან							
გამოკითხვა							
მიღებული შედეგების ანალიზი							
სავარაუდო ინტერვენციების განხილვა							

ინტერვენციის განხორციელება							
ინტერვენციების შედეგების ანალიზი							
კვლევის ანგარიშის მომზადება და წარდგენა							

## ცხრილი N-1

### 4.3 მონაცემთა ანალიზი

კვლევის ანალიზმა და მონაცემთა შეგროვებამ აჩვენა, რომ მასწავლებლები იცნობენ სწავლების ეფექტიან სტრატეგიებს, თუმცა ყოველთვის ვერ იყენებენ მას გაკვეთილზე, რადგან საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს დამოუკიდებლად საშინაო დავალების შესრულება გაკვეთილებზე დროის მეტი ნაწილი მიაქვს დავალების ანალიზს.

წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად მასწავლებლები ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან სწავლების პროცესში.

მოტივაციის ამაღლების საშუალებებს მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში

ფოკუსირებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები ძნელად გებულობენ საბუნებისმეტყველო საგნების ტერმინებს, ძირითად ცნებებს და კანონებს, უჭირთ ამოცანების ამოხსნა, ამიტომ თავს არიდებენ როგორც საშინაო დავალების შესრულებას ასევე ნაკლებად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

ანკეტირებამ აჩვენა რომ მოსწავლეთა ერთ ნაწილს საჭიროდ არ მიაჩნია ამ საგნების შესწავლა რადგან არ სჭირდებათ სამომავლოდ.

ღია და დახურული ანკეტირების საფუძველზე (დანართი **N1**) დადგინდა, რომ **30** მოსწავლიდან რომელიც გამოიკითხა კითხვაზე:

კითხვარის შედეგები

1. არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული 30% პასუხობს დიან, 20% - არა, 40% - ნაწილობრივ, პასუხზე თავი შეიკავა 10 %-მა.
2. სახელმძღვანელოები რომლითაც სწავლობენ საბუნებისმეტყველო საგნებში მისაღებად მიჩნია 23.3%, მიუღებელია 46.6%-სთვის ,თავი შეიკავა-30%.მა.
3. გამოკითხულთა 20% თვლის რომ გაკვეთილებზე გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები,27%-ის აზრით არაა გამოყენებული, ნაწილობრივაა გამოყენებული 53%.
4. სასწავლო აქტივობები დაძლევადია 47%-ისთვის,20%-ისთვის არა, 30%-ისთვის ნაწილობრივ. თავი შეიკავა 3%.
5. თავის შეფასებას ობიექტურად თვლის 60%, არაობიექტურია 20%-თვის, ნაწილობრივ ობიექტურია20%-ისთვის.

#	დი ა ხ	არა	ნაწილობრი ვ	თ ა ვ ი შეიკავა	სულ
1. არის თუ რა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული?	9	6	12	3	30
2.სახელმძღვანელო რომლითაც სწავლობთ მისაღებია თუ არა თქვენთვის?	7	14	9	0	30
3.არის თუ არა გამოყენებული გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები?	6	8	14	0	30
4.არის თუ არა დაძლევადი თქვენთვის სასწავლო აქტივობები?	14	6	9	1	30

5.თვლით თუ არა, რომ თქვენი შეფასება ობიექტურია?	18	6	6	0	30
---	----	---	---	---	----

ცხრილი N2

კითხვარის შედეგები

6. კითხვაზე, იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მრავალფეროვან რესურსებს მოსწავლეთა 30% პასუხობს ხშირად, 50%-იშვიათად, 20%- არასდროს.

7. შეფასების სქემების შემუშავებაში ყოველთვის მონაწილეობს- 10%, ხშირად 20%, იშვიათად 70%.

8.პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისგან დებულობს ყოველთვის 10%, ხშირად 40%, იშვიათად 40%, არასდროს 10%.

ცხრილიN3 კითხვარის შედეგები

	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არასდროს	სულ
იყენებთ თუ არა გაკვეთილზე მრავალფეროვან რესურსებს	-	9	15	6	30
იღებთ თუ არა მონაწილეობას შეფასების სქემების შემუშავებაში	3	6	21		30
დებულობთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისაგან	3	12	12	3	30

9. კითხვაზე, როგორი დავალების შესრულება გირთვლიდათ 9 მოსწავლე (30%) პასუხობს პრეზენტაცია, 3 მოსწავლე (10%) - კითხვებზე პასუხი, 18 მოსწავლეს (60%) უჭირს ამოცანების ამოხსნა.

10. კითხვაზე როდის უფრო ხშირად ხართ ჩართული საგაკვეთილო პროცესში 13-მა მოსწავლემ (43%) უპასუხა ჯგუფური მუშაობის დროს, 11 მოსწავლემ (37%) დამოუკიდებლად მუშაობის დროს, 6 მოსწავლისათვის (20%) არ აქვს მნიშვნელობა მუშაობის ფორმას.

11. კითხვაზე როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესოა 10 მოსწავლე პასუხობს ლექციური, 33%, 10 მოსწავლე ისტით გამდიდრებული- 33%, 7 მოსწავლეს ექსპერიმენტი- 23%, 3 მოსწავლისათვის სულერთია 10%.

12. კითხვაზე რომელი საგნის შესწავლას ანიჭებ უპირატესობას 9 მოსწავლე პასუხობს ქართულს (30%), 2 მოსწავლე მათემატიკას (6%), ინგლისურს 5 მოსწავლე (17%), ქიმიას 2 (6%), ბიოლოგიას 2 (6%), ისტორიას 3 (10%), გეოგრაფიას 5 (17%). სპორტს 2 (6%).

13. ღია კითხვაზე რით არის საინტერესო ეს საგანი თქვენთვის მოსწავლეთა უმრავლესობას პასუხი არ დაუწერია. მოსწავლეთა ნაწილი თვის რომ ქართულის და ისტორიის შესწავლა სავალდებულო და საინტერესოა იქ განხილული თემების გამო.

14. კითხვაზე რა გიშლით ხელს სწავლაში 14 მოსწავლე პასუხობს სიზარმაცე (47%) 6 მოსწავლე დიდი მოცულობის დავალებები (20%) 2 მოსწავლე დავალების სირთულე (6%), 8 მოსწავლე ეს საგნები არ ჭირდება (26%).

15. კითხვაზე რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის სწავლის პროცესში 17 მოსწავლის აზრით (57%) ცოდნის მიღება, 6 მოსწავლე (20%) ქულის მიღება, 4 მოსწავლე (13%) ორივე, 3 მოსწავლე (10%) არცერთი.

16. კითხვაზე რომელ საგანს ირჩევთ ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებლად მხოლოდ ერთმა უპასუხა ბიოლოგია, რაც გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 3%-ია. მოსწავლეთა უმრავლესობას ან არ აქვს გადაწყვეტილი რომელი საგანი უნდა ჩააბაროს ან სხვა საგნებს ირჩევს.

17. კითხვაზე საბუნებისმეტყველო საგნებიდან რომლის შესწავლა უფრო გიძნელდება 18 მოსწავლე პასუხობს ფიზიკას (60%) , 5 მოსწავლე ქიმიას (17%) , 2 მოსწავლე ბიოლოგიას (6%), სამივეს შესწავლა უძნელდება 3 მოსწავლეს (10%), არ უპასუხა 2 მოსწავლე (6%) .

18. კითხვაზე რა დაგეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში მოსწავლეებმა დაწერეს შემდეგი: სიზარმაცისგან თავის დაღწევა, საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამები, საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობები, წახალისება მასწავლებლებიდან, წესრიგი გაკვეთილებზე, საინტერესო სახელმძღვანელოები, მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ მასწავლებლებისა და მშობლების პატივისცემა, მასწავლებლები უნდა იყვნენ ხალისიანი, ხშირი გამოკითხვა, საინტერესოდ ახსნილი გაკვეთილები, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები და საინტერესო აქტივობები.

მშობლების კითხვარის (დანართი N2) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის ერთერთ მიზეზი სასწავლო პროცესისადმი მშობელთა დაბალი დაინტერესებაა, რაც იმითაც გამოიხატა რომ VIII-IX-X-XI კლასის 30 მოსწავლის მშობლიდან რომელთაც გავუგზავნეთ კითხვარები პასუხები დაგვიბრუნა 22 მშობელმა, 8 მშობელმა კი ჩვენთან არ ითანამშრომლა, რაც მშობელთა საერთო რაოდენობის 26,6% შეადგენს.

გამოკითხული 22 მშობლიდან.

კითხვები და შედეგები

1. კითხვაზე არის თუ არა მშობლებსა და პედაგოგებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული 77% პასუხობს - დიახ, 23% - ნაწილობრივ.
2. თვლით თუ არა რომ თქვენი შვილი ყველა საგნის მიმართ ერთნაირ დაინტერესებას არ იჩენს 59% პასუხობს დიახ, 18.2% - არა, 13.6% -ნაწილობრივ, 9% - არ ვიცი.
3. იღებთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისგან 27.2% პასუხობს - დიახ, 40.9% - არა, 31.8% - ნაწილობრივ.
4. როგორ ფიქრობთ სასწავლო პროცესისადმი თქვენი შვილის დაბალი დაინტერესების მიზეზი ხომ არაა გარდატეხის ასაკი , 27.2% პასუხობს - დიახ, 22.7% - არა, 50% - ნაწილობრივ.

		დიახ	არა	ნაწილობრივ	არ ვიცი	სულ
1.	არის თუ არა ურთიერთობა პოზიტიური	17	-	5		22
2.	თვლით თუ არა რომ თქვენი შვილი ერთნაირ დაინტერესებას არ იჩენს ყველა საგნისადმი	13	4	3	2	22
3.	იღებთ თუ არა უკუკავშირს მასწავლებლებისაგან	6	9	7		22



4	სასწავლო პროცესის მიმართ თქვენი შვილის დაინტერესების მიზეზი ხომ არაა გარდატეხის ასაკი	6	5	11		22
---	---	---	---	----	--	----

ცხრილი N4

კითხვარის შედეგები

5. კითხვაზე როგორ შეიცვალა თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი ეინა წლებთან შედარებით 8 მშობელი (36.3%) პასუხობს - გაუმჯობესდა, 9 მშობელი (40.9%) - გაუარესდა, 5 მშობელი (22.7%) - არ შეცვლილა.

6. კითხვაზე რომელი საგნის მიმართ იჩენს თქვენი მშობელი დაინტერესებას 6 მშობელი (27.2%) წერს - ქართული, 3 (13.6%) - მათემატიკა, 1 (4.5%) - ინგლისური, 2 (9%) - გეოგრაფია, 3 (13.6%) - ქიმია, 3 (13.6%) - ბიოლოგია, 4 (18.1%) სპორტი.

7. კითხვაზე რა დროს უთმობს თქვენი შვილი მეცადინეობას 1 მშობელი (4.5%) წერს 0,5 სთ, 5 მშობელი (22.7%) - 1 საათი, 13 (59%) - 2 სთ-ზე მეტს, 3 (13.6%) - საერთოდ არ მეცადინეობს.

8. რით არის დაკავებული თქვენი შვილი გაკვეთილების შემდეგ 6 (27.2%) მშობელი პასუხობს - მეხმარება საოჯახო საქმეებში, 12 (54.5%) - დროის მეტ ნაწილს უთმობს ტელეფონს, კომპიუტერს , ტელევიზორს, 2 (9%) - დაის სპორტზე, 2 (9%) - კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას.

9. რა ფორმით იღებთ ინფორმაციას თქვენი შვილის შესახებ სკოლიდან 18 მშობელი (81.8%) წერს - დავდივარ სკოლაში, 4 (18.1%) - ვეკითხები ბავშვს.

10. კითხვაზე რამდენად ხშირად დადიხართ სკოლაში 8 მშობელი (36.4%) პასუხობს - თვეში 1-ჯერ, 7 (31.8%) - ორ თვეში 1-ჯერ, 7 (31.8%) - სემესტრში 1-ჯერ.

11. ღია კითხვაზე რა შეიძლება იყოს საგაკვეთილო პროცესში თქვენი შვილის დაბალი ჩართულობის მიზეზი 10 მშობელი - არ პასუხობს, რაც გამოკითხულთა 45.4%-ია, მშობელთა ნაწილი თვლის რომ მიზეზი არის მათი შვილების სიზარმაცე, სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, გონებაგაფანტულობა, ნაწილის აზრით სასწავლო პროცესი ერთფეროვანია, რაც იწვევს ბავშვების უინტერესობას .

12. ღია კითხვაზე როგორ უნდა გავზარდოთ თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი მშობლები წერენ: მრავალფეროვანი აქტივობებით, საინტერესო გაკვეთილებით , ლაბორატორიებით რომელიც სახალისოს გახდის გაკვეთილებს. ნაწილს მასწავლებლების სიმკაცრე და მოსწავლეთა ხშირი გამოკითხვა მიაჩნიათ საჭიროდ.

მასწავლებელთა კითხვარის (დანართი N3) ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი; VII-IX- X-XI-XII კლასში შემსვლელი 15 მასწავლებლიდან 6 (40%) თვლის რომ პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული. 9 (60%) კი თვლის - ნაწილობრივ.

კითხვარის შედეგები

1. არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური?

2. კითხვაზე: იყენებთ თუარა გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს? 93% პასუხობს - ხშირად. 7% იშვიათად.

3. გამოკითხულთა 60% მიაჩნია, რომ მრავალფეროვან რესურსებს ხშირად იყენებს გაკვეთილზე, 33% - იშვიათად. 7% ყოველთვის იყენებს მრავალფეროვან რესურსებს.

4. მოტივაციის ამაღლების საშუალებებს ყოველთვის იყენებს 47%, ხშირად 40 %, იშვიათად 13%

5. ისტ ის ხანდახან იყენებს 60% შვიათად 40%

6. გაკვეთილზე ექსპერიმენტს ხშირად ატარებს 33%, იშვიათად 67%

7. მოსწავლეთა დიფერენცირებას ახდენს საგაკვეთილო პროცესში ყოველთვის 7%, ხშირად 47%, იშვიათად 46%.

8. მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს ითვალისწინებს 52% ყოველთვის, 48% ხშირად.

9. მოსწავლეს პოზიტიურ უკუკავშირს აძლევს ყოველთვის 53%, ხშირად 47%.

10. შეფასების სქემების შემუშავებაში მოსწავლეებს ყოველთვის რთავს 27%, ხშირად 40%, იშვიათად 33%.

11. მოსწავლეთა შეფასებისას ყოველთვის ობიექტურია 75%, 25% ხშირად.

12. გაკვეთილის დაგეგმვის კონსტრუქტივისტულ მიდგომებს იყენებს ყოველთვის 46.6%, ხშირად 46.6%, იშვიათად 6.6%.

13. თითოეული აქტივობის შესრულების პროცესში მოსწავლეებს სათანადო ინსტრუქციებს აძლევს 70% ყოველთვის, 30% იშვიათად.

14. ღია კითხვაზე რა არის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზი მასწავლებლები პასუხობენ ,რომ მთავარი მიზეზი განათლების სისტემაშია, ვრცელი საპროგრამო მასალა და მცირე კვირეული დატვირთვა ამ საგნებში იწვევს მოსწავლეთა უინტერესობას,მოსწავლეები არ არიან დარწმუნებული თავიანთ შესაძლებლობებში და ერიდებიან საკუთარი აზრის გამოთქმას. მშობლების გულგრილი დამოკიდებულება შვილების სწავლის მიმართ, არასათანადო დონის საადესტატო გამოცდები, მოსწავლეთა გაზრდილი უფლებები და დავიწყებული მოვალეობები, რეპეტიტორების იმედი.

15. ღია კითხვაზე როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები წერენ: გაკვეთილზე გამოვიყენო საინტერესო და სახალისო აქტივობები, წავახალისოთ მოსწავლეები, გავუღვივოთ ცნობისმოყვარეობა, დამატებით ვიმუშაოთ მოსწავლეებთან, გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობის ფორმები, შეიცვალოს სახელმწიფოს მიდგომები სწავლების მიმართ, მოხდეს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, პედაგოგს დაუფასდეს შრომა, გამარტივდეს სახელმძღვანელოები, გაკვეთილები დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით, ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან და მშობლებთან, დავგეგმოთ უფრო მეტი პრაქტიკული და მრავალფეროვანი აქტივობები. აღნიშნული აქტივობები მართლაც შეესაბამება თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს, თუმცა მათი ხშირი გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან წინასწარ ჭირდება სასწავლო რესურსის მომზადება, რაც დამატებით დროს და ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს და აგრეთვე ამის შესაძლებლობას არ იძლევა პატარა ზომის საკლასო ოთახები.

დანართი N-1 კითხვარის ანალიზის შემდგომ დავგეგმეთ ფოკუს ჯგუფთან მუშაობა. ფოკუს ჯგუფი შეიქმნა VIII-IX- X-XI-XII კლასის 3-3 მოსწავლისგან, მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებისგან მიგველო უფრო ამომწურავი ინფორმაცია. გამოკითხული მოსწავლეები აღნიშნავენ რომ უჭირთ ვრცელი ტექსტების დამახსოვრება, ამოცანებზე მუშაობა, რადგან ამისთვის აუცილებელია გარკვეული ცოდნა, რაც მათ ვერ შეიძინეს წინა წლებში და ეს ხელს უშლით ახალი ცოდნის დაგროვებაში. მოსწავლეები დაბალი ჩართულობის მიზეზად იმასაც ასახელებენ რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს ლაბორატორიები, ამასთან თვლიან რომ

გაკვეთილებზე დისციპლინის დარღვევებიც შეინიშნება რაც ხელს უშლით სწავლაში.

ფოკუს ჯგუფთან დაგეგმილი კითხვარის ანალიზის შემდგომ ინტერვიუ ჩავწერეთ სკოლის დირექტორთან, მან აღნიშნა რომ დისციპლინის პრობლემებთან დაკავშირებით მისთვის არც ერთ მასწავლებელს არ მიუმართავს, გაარკვევს რომელ მასწავლებელს აქვს პრობლემა ამ საკითხთან დაკავშირებით და შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარება მათ.

თავი--5

## 5.1 ინტერვენციები

კვლევის პირველსავე ეტაპზე, დაკვირვებისა და წარმოებულ ინტერვიუების საფუძველზე თავიდანვე გამოიკვეთა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის დამახასიათებელი შინაგანი მოტივაციის დაბალი ხარისხის პრობლემა.

პრობლემა შესაძლებელია გამოწვეული იყოს გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებებითა და სირთულეებით. ამ პერიოდში მიმდინარეობს მოზარდის სქესობრივი მომწიფების პერიოდი, რასაც ფსიქო-ემოციური დაძაბულობა, იმპულსურობა და არცთუ იშვიათად დეპრესიული განწყობებიც ერთვის. ამავე პერიოდში მოზარდი იწყებს საკუთარი თავის შეცნობას, ახალი ღირებულებების, ახალი ქცევების ჩამოყალიბებას. ეს ურთულეს პერიოდში მოსწავლისთვის დამახასიათებელია კონფლიქტები როგორც გარშემო მყოფებთან ასევე საკუთარ თავთან.

მონაცემთა ანალიზის შემდეგ დაიგეგმა შემდგომი ინტერვენციები

- სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან და მოტივაციის ამალღების საშუალებების შესახებ ლიტერატურის გაცნობა;
- თანამშრომლობა სკოლის დირექციასთან და დამრიგებლებთან ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით;
- ქიმი-ბიოლოგიის კაბინეტის მოწყობა;
- კოლეგების გამოცდილების გაზიარება,გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა;

- ჯგუფური სამუშაოების დაგეგმვა;
- თანაბარი სიძლიერის ჯგუფის შექმნა, რომლებშიც წარმატებული მოსწავლეები დაეხმარებიან დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს;
- დიფერენცირებულ ჯგუფებში მოსწავლეები იმუშავებენ, მათი ცოდნის შესაბამის საკითხებზე;
- წარმატებული მოსწავლეების მიერ სუსტი მოსწავლეების დახმარება და ინფორმაციის მიწოდება მასწავლებლებისათვის მათი შედეგების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მუშაობა მოსწავლეებთან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- თანამშრომლობა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან;
- სასწავლო წლის დამამთავრებელ ეტაპზე მოსწავლეების, მასწავლებლების გამოკითხვა კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით

## 5.2 ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

ინტერვენციების განხორციელებამ მოსწავლეებისთვის დადებითი შედეგი გამოიღო. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წარმატებული, ისე დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ჯგუფური მუშაობის პროცესში, მოსწავლეები მუშაობდნენ ერთად, ეხმარებოდნენ ერთმანეთს, უფრო იოლად ხსნიდნენ ამოცანებს ერთობლივი მუშაობის პროცესში. განსაკუთრებით ხალისით მუშაობდნენ დიფერენცირებულ ჯგუფებში, როცა დავალება მათთვის დაძლევადი, მათი ცოდნის შესაბამისი იყო

მასწავლებლების გამოკითხვამ აჩვენა, რომ სამუშაო შეხვედრები მათთვის შედეციანი იყო, რადგან გაიხსენეს მოტივაციის ამაღლების საშუალებები, რაც დაეხმარათ გაკვეთილების უფრო საინტერესოდ დაგეგმვაში

ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა კიდევ უფრო შეიმჩნეოდა, როცა გაკვეთილებზე ვიყენებდით ისტ-ს, ექსპერიმენტს ან მათთვის საინტერესო რესურსს.

სკოლის დირექციასთან და დამრიგებლებთან ერთობლივი მუშაობის პროცესში სასწავლო გარემო უფრო ეფექტური გახდა.

საგნის მასწავლებლების დამატებითმა მუშაობამ მოსწავლეებთან უფრო დააინტერესა ისინი და მათი ცოდნის დონეც გაუმჯობესდა.

სკოლაში ფუნქციონირებს ბუნებისმეტყველების (ქიმია -ბიოლოგიის) წრეობრივი მუშაობა.

ვფიქრობთ ჩვენი კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციები დადებითად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე, რომელსაც გავაანალიზებთ სასწავლო წლის ბოლოს საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომაზე.

## თავი-6

### 6.1. კვლევის მიზნები

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზნება

- მასწავლებლები არ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან სწავლების პროცესში წარმოქმნილი სიძნელების დასაძლევად და არ უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას.
- მასწავლებლების მიერ მოტივაციის ამაღლების საშუალებების გამოყენება ხდებოდა ნაწილობრივ.
- სასკოლო სახელმძღვანელოები ნაწილობრივ შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს.
- არის მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროცესში.

### 6.2. რეკომენდაციები

ვფიქრობთ, კვლევის ჯგუფის შერჩევასა მომავალში შესაძლებელია მასწავლებელთა ჩართულობის გაზრდა, თუ ეს კვლევა მიმართული იქნება მხოლოდ სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე და არა კარიერულ წინსვლასზე.

სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად ითანამშრომლონ ერთმანეთთან, იხელმძღვანელონ მოტივაციის ამაღლების ეფექტური სტრატეგიებით.

კარგი იქნება, თუ ადმინისტრაცია (დირექცია) იზრუნებს ლაბორატორიების კეთილ მოწყობაზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარება, რასაც სჭირდება შესაბამისი საკლასო ოთახები, სადაც იქნება კომპიუტერი პროექტორი. მასწავლებელს არ უნდა სჭირდებოდეს კომპიუტერის სახლიდან მოტანა და პროექტორის გამართვა გაკვეთილის დაწყებამდე, რაც შრომატევადი საქმეა და ხშირად ვერ ხერხდება.

სასურველია სახელმძღვანელოების შეცვლა. სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს ისეთ სავარჯიშოებს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს რათა გაუადვილდეს ნასწავლის ტრანსფერის უნარი.

ვეცადოთ მოსწავლეებმა სწავლის პროცესს შეხედონ პოზიტიური კუთხით. ავუხსნათ მათ, რომ საბუნებისმეტყველო გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა-გამოცდილება დაეხმარებათ მათ 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

ვითანამშრომლოთ მოსწავლეებთან, რათა უფრო აქტიურად იყონ ჩართული სასწავლო პროცესში.

### 6.3 კვლევის ნაკლოვანებები

- კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოსწავლეების და მათი მშობლების ნაწილმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, სასურველი იქნებოდა მათი სრული ჩართულობის მიღწევა, რათა კიდევ უფრო რეალური შედეგი მიგვეღო. თუმცა ვთვლით, რომ შედეგები თვალსაჩინოა და მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიძლებოდა შეცვლილიყო ყველა მოსწავლისა და მათი მშობლების ჩართულობის შემთხვევაში.

- მართალია შევეცადეთ, რომ მოგვეწესრიგებინა ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი, მაგრამ მისი კეთილმოწყობა გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც სკოლას არ გააჩნია და ამ ეტაპზე კაბინეტის და ლაბორატორიის ამოქმედება ვერ შევძელით.

კარგი იქნებოდა თუ მოსწავლეები ხშირად მიიღებენ მონაწილეობას მსგავს გამოკითხვებში, რადგან საკუთარი აზრის გამოხატვას და კრიტიკულ აზროვნებას მიეჩვიონ. მოსწავლეთა ნაწილმა ღია კითხვებში საკუთარი აზრის დაფიქსირებას თავი აარიდა, რადგან არ იცოდნენ ზუსტად რა უნდა ჩაეწერათ ან დაეზარათ ჩაწერა. ვფიქრობთ, ეს საკითხი ცალკე კვლევის საგნად მივიჩნიოთ და ჩავატაროთ მოსწავლეებში კვლევაც ამ მიმართულებით.

## 7. დასკვნა

ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის და საგაკვეთილო პროცესში მათი დაბალი ჩართულობის მიზეზი ის არის, რომ მასწავლებლები არ უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, გაკვეთილებზე მაქსიმალურად არ იყენებენ მოტივაციის ამალღების ეფექტურ სტრატეგიებს, სახელმძღვანელოები უინტერესოა მოსწავლეებისათვის, სკოლაში არ არის კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, მშობლები ნაკლებად არიან ჩართული შვილების სწავლების პროცესში.

ვთვლით, რომ სასწავლო პროცესის სწორად წარმართვა მასწავლებლისგან დიდ დაკვირვებას, ცოდნასა და პროფესიული უნარების ფლობას მოითხოვს, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასწავლებლის სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულება პირდაპირ აისახება მოსწავლეთა მოტივაციასა და განწყობაზე, ასევე მათ შედეგებზე, რადგან მოსწავლეთა წრმატებისათვის აუცილებელია ურთიერთპატივისცემაზე და თანამშრომლობაზე დამყარებული პოზიტიური ეფექტური სასწავლო გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებზე.

საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში წლების მანძილზე ერთიდაიგივე პრობლემაა, სასწავლო პროგრამა ვრცელია, კვირეული საათობრივი დატვირთვა მცირე. მართალია მასწავლებელი არ უნდა იყოს ორიენტირებული სახელმძღვანელოში მოცემული მასალის



გავლაზე, მაგრამ ე.ს.გ.-ის მოთხოვნები საპირისპიროზე მეტყველებს, ეს საკითხი დასაფიქრებელია და საჭიროებს სისტემაში ცვლილებებს. საათების უკმარისობა განსაკუთრებით შეიმჩნევა მეთავე კლასის ქიმიაში და მეთერთმეტე კლასის ბიოლოგიაში.

კვლევაში გამოყენებული მეთოდებიკა მიმართული იყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამადლებისკენ, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. ერთობლივად დაგეგმილმა გაკვეთილებმა და ამ გაკვეთილებზე სწავლების ეფექტური სტრატეგიების გამოყენებამ საგრძნობლად გააუმჯობესა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომელიც დაგვეხმარება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდაში.

კვლევის შედეგების და თვითონ კვლევის გაზიარება კოლეგებთან, დაეხმარება მათ თვითონაც წარმართონ მსგავსი კვლევები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, ასევე შეიმუშაონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო სტრატეგიები.

## 8.რეფლექსია

განხორციელებული პრაქტიკის კვლევის მიზანი იყო გამოავლინოს მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხის შესუსტების მიზეზები საბუნებისმეტყველო საგნებში და გამოძებნოს მისი გაუმჯობესების ყველა შესაძლო სტრატეგია, აქტივობა თუ რესურსი. არსებული პრობლემის მიზეზების კვლევისას გამოვლინდა საბაზო- საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მოტივაციის შესუსტების რამდენიმე ძირითადი ფაქტორი:

- დაგვიანებული და არაეფექტური უკუკავშირი;
- შეფასების არაობიექტურობა;
- ერთფეროვანი საგაკვეთილო პროცესი;

- გარდატეხის ასაკის სინდრომი;

აღნიშნული საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიმართულებით დაიგეგმოს და განხორციელდეს ღონისძიებები. დაგეგმილი ინტერვენციების საშუალებით მიღწეულ იქნა გარკვეული შედეგები.

კვლევა ემსახურებოდა საგნებში-( ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხის გაუმჯობესებას, მაგრამ ვინაიდან საგნები ისწავლება საბაზო- საშუალო საფეხურზე, ვფიქრობ კვლევის შედეგები საგულისხმო და გასათვალისწინებელი იქნება სხვა საგნების პედაგოგებისათვისაც.

ვფიქრობ, საჭიროა კვლევის შედეგები გაზიარებული და გათვალისწინებული უნდა იყოს სკოლის პედაგოგების მიერ. კერძოდ, შედეგების საფუძველზე განისაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია:

1. საგნობრივმა კათედრებმა უნდა შეიმუშაონ და სასწავლო პროცესში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებთან ერთად, უნდა გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. პერმანენტულად უნდა მიაწოდონ მოსწავლეებს კონსტრუქციული, პროგრესსა და შედეგზე ორიენტირებული კომენტარები.
2. განსაკუთრებით გარდატეხის ასაკის მოსწავლეებთან მუშაობისას გაითვალისწინოს ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. აიმაღლონ კომპეტენციები ამ მიმართულებით.
3. იმუშაონ მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებით, საგაკვეთილო პროცესში გამოიყენონ მრავალფეროვანი აქტივობები, მეთოდები და რესურსები.

4. სკოლის ადმინისტრაციამ იზრუნოს ლაბორატორიების ელემენტარულად მოწყობაზე .

აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ არამხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს, არამედ იმ საგნების პედაგოგებსაც, რომელთა ამბიციას მოსწავლეთა მაქსიმალური დაინტერესება და ჩართვა საგაკვეთილო პროცესში მათი სასწავლო შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ინასარიძე, ს. ლობჯანიძე, მ. რატიანი, ი.სამსონია - „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწ. II მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016;
2. თეო ჭყოიძე „სწავლის მოტივაციის შიგა ფაქტორები“ ჟურნალი მასწავლებელი 2012 წ. N 2.
3. ს. ლობჯანიძე - „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები “ ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ 2012 წ. 3 მაისი.
4. ნ. ნაცვლიშვილი, ს. გიორგაძე „სწავლა და შეფასება“ 2008 წ.
5. მ. გიორგაძე - „როგორ ვომუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ /ციფრული რესურსი / <http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201>
6. თ. ზურაბიშვილი- „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006 წ. [http://old.ucss.ge/geo/publication/publications\\_detail.php?ID=173](http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173)

7. ლ. წულაძე- „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თბ.

2008წ.

### დანართი #1. კითხვარი მოსწავლეებისათვის

მოგესალმებით,

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის პედაგოგები ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის ამდლების და საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით. თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, საჭირო არაა კითხვარზე სახელის და გვარის მითითება.

1. არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?

ა) დიახ            ბ) არა            გ) ნაწილობრივ

2. სახელმძღვანელოები, რომლითაც სწავლობთ საბუნებისმეტყველო საგნებში მისაღებია თუ არა თქვენთვის?

ა) დიახ            ბ) არა            გ) ნაწილობრივ

3. არის თუ არა გამოყენებული გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები?

ა) დიახ            ბ) არა            გ) ნაწილობრივ

4. არის თუ არა დაძლევადი თქვენთვის სასწავლო აქტივობები?

ა) დიახ    ბ) არა    გ) ნაწილობრივ

5. თვლით თუ არა რომ თქვენი შეფასება ობიექტურია?

ა) დიახ    ბ) არა            გ) ნაწილობრივ

6. იყენებთ თუ არა მრავალფეროვან რესურსებს გაკვეთილზე?

ა) ყოველთვის    ბ) ხშირად    გ) იშვიათად            დ) არასდროს

7. იღებთ თუ არა მონაწილეობას შეფასების სქემების შემუშავებაში

ა) ყოველთვის    ბ) ხშირად    გ) იშვიათად

8. ღებულობთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისაგან

ა) ყოველთვის    ბ) ხშირად    გ) იშვიათად    დ) არასდროს

9. როგორი დავალების შესრულება უფრო გირთულდებათ ?

ა) კითხვა-პასუხი    ბ) ამოცანების ამოხსნა    გ) პრეზენტაცია

დ) სხვა (ჩაწერეთ თქვენი აზრი)

10. როდის უფრო ხართ ჩართული საგაკვეთილო პროცესში?

ა) ჯგუფური მუშაობის დროს    ბ) დამოუკიდებლად მუშაობის დროს

გ) არ აქვს მნიშვნელობა

11. როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესოა თქვენთვის

ა) ლექციური ბ)ისტ-ით გამდიდრებული ბ)როცა ექსპერიმენტი  
ტარდება დ)სულ ერთია

12.რომელი საგნის სწავლებას ანიჭებთ უპირატესობას?

ა) ქართული ბ)მათემატიკა გ) ინგლისური დ)რუსული დ) ქიმია  
ე) ფიზიკა ვ)ბიოლოგია ზ)ისტორია თ) გეოგრაფია ი)სპორტი

13.რით არის ეს საგანი საინტერესო თქვენთვის? (ჩაწერეთ თქვენი აზრი)

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ) იშვიათად

14.რა გიშლით ხელს სწავლაში?

ა)სიზარმაცე ბ)დიდი მოცულობის დავალებები გ)დავალების სირთულე  
დ)არ მჭირდება ეს საგნები

15 რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის სწავლის პროცესში?

ა)ცოდნის მიღება ბ)ქულის მიღება გ) ორივე დ) არც ერთი

16 რომელ საგანს ირჩევთ ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებლად?

---

17.საბუნებისმეტყველო საგნებიდან რომლის შესწავლა უფრო გიძნეოდა?

ა)ფიზიკა ბ)ქიმია გ)ბიოლოგია

18)თქვენი აზრით რა დაგეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში და  
საკავეთილო პროცესში აქტიურად ჩართვაში?

--

გმადლობთ მონაწილეობისათვის!

დანართი #2. კითხვარი მშობლებისათვის.

მოგესალმებით,

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის პედაგოგები ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის ამდლების და საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, თქვენი როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის, თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, საჭირო არაა კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.

1. არის თუ არა მშობლებსა და პედაგოგებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული?

ა) დიახ    ბ) არა    გ) ნაწილობრივ

2. თვლით თუ არა, რომ თქვენი შვილი ყველა საგნის მიმართ ერთნაირ დაინტერესებას არ იჩენს?

ა) დიახ    ბ) არა    გ) ნაწილობრივ    დ) არ ვიცი

3. იღებთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლებისაგან?

ა) დიახ    ბ) არა    გ) ნაწილობრივ

4. როგორ ფიქრობთ სასწავლო პროცესის მიმართ თქვენი შვილის დაბალი დაინტერესების მიზეზი ხომ არაა გარდატენის ასაკი?

ა) დიახ    ბ) არა    გ) ნაწილობრივ

5. თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი წინა წლებთან შედარებით

ა) გაუმჯობესდა    ბ) გაუარესდა    გ) არ შეცვლილა

6. რომელი საგნების მიმართ ამჟღავნებს დაინტერესებას თქვენი შვილი?

ა)ქართული ბ)მატემატიკა გ)ინგლისური დ)რუსული ე)ისტორია  
ვ)გეოგრაფია ზ)ქიმია თ)ფიზიკა ი)ბიოლოგია კ)სპორტი

7.რა დროს უთმობს თქვენი შვილი მეცადინეობას?

ა)0,5 სთ ბ)1 სთ გ)2 სთ და მეტს დ)საერთოდ არ მეცადინეობს

8.რა ფორმით იღებთ ინფორმაციას თქვენი შვილის შესახებ სკოლიდან?

ა)დავდივარ სკოლაში ბ)მაქვს სატელეფონო კავშირი მასწავლებლებთან  
გ)ვეკითხები ბავშვს დ)არ ვიღებ ინფორმაციას ე)სხვა ----- (ჩაწერეთ)

9.რამდენად ხშირად დადიხართ სკოლაში?

ა) თვეში ერთხელ ბ)ორ თვეში ერთხელ გ)სემესტრში ერთხელ  
დ)საერთოდ არ დავდივარ

10.რით არის დაკავებული თქვენი შვილი გაკვეთილების შემდეგ?

ა)მეხმარება საოჯახო საქმეებში ბ)დროის მეტ ნაწილს უთმობს  
ტელეფონს, კომპიუტერს, ტელევიზორს გ)დადის სპორტზე  
დ)კითხულობს მხატ.ლიტერატურას

11. თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს საგაკვეთილო პროცესში თქვენი შვილის დაბალი ჩართულობის მიზეზი?

-----

12.როგორ ფიქრობთ როგორ უნდა გავზარდოთ თქვენი შვილის დაინტერესება სასწავლო პროცესისადმი?

----

გმადლობთ მონაწილეობისათვის.



დანართი #3. კითხვარი მასწავლებლებისათვის.

მოგესალმებით,

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის პედაგოგები ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის ამადლების და საკვებითი პროცესში მათი ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, თქვენი როგორც მასწავლებლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. საჭირო არაა კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება

1. არის თუ არა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პოზიტიური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

2. იყენებთ თუ არა საკვებითო სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს?

ა) ყოველთვის ბ) ხშირად გ) იშვიათად

3. იყენებთ თუ არა საკვებითო მრავალფეროვან რესურსებს?

ა) ყოველთვის ბ) ხშირად გ) იშვიათად

4. იყენებთ თუ არა საკვებითო მოტივაციის ამადლების საშუალებებს?

ა) ყოველთვის ბ) ხშირად გ) იშვიათად

5. რამდენად ხშირად იყენებთ საკვებითო ისტ-ს?

ა)ყოველთვის ბ)ხანდახან გ)არასდროს

6. იყენებთ თუ არა გაკვეთილზე ექსპერიმენტს?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

7. ახდენთ თუ არა მოსწავლეთა დიფერენცირებას საგაკვეთილო პროცესში?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

8. ითვალისწინებთ თუ არა გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

9. აძლევთ თუ არა მოსწავლეს პოზიტიურ უკუკავშირს?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

10. რთავთ თუ არა მოსწავლეებს შეფასების სქემების შემუშავებაში?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

11. ხართ თუ არა ობიექტური მოსწავლეთა შეფასებისას?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

12. იყენებთ თუ არა გაკვეთილის დაგეგმვისას კონსტრუქტივისტულ მიდგომებს?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

13. აძლევთ თუ არა სათანადო ინსტრუქციებს მოსწავლეებს თითოეული აქტივობის შესრულების პროცესში?

ა)ყოველთვის ბ)ხშირად გ)იშვიათად

14. თქვენი აზრით რა არის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზი?

-----

15. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში?

-----

გმადლობთ მონაწილეობისათვის.